საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/5067
24/07/2026

5067-01-2-202607241527

მოქალაქე აფიზი ჯალილოვს (პ/ნ 20950000264)
მის.: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ყარაჯალა, 55-ე ქუჩა, N 16
ტელ.: 551 16 93 43

მოგახსენებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 16 ივნისის №04/913 ბრძანებით მიმდინარეობს საქმის შესწავლა მოვაჭრის - აფიზი ჯალილოვის (პ/ნ 20950000264) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მოქალაქე თ დ (პ/ნ) 2026 წლის 8 ივლისის №01/ განცხადების თანახმად, მომხმარებელმა Facebook პლატფორმაზე არსებული გვერდიდან „Super Choice/სუპერ ჩოისი" (ბმული: https://www.facebook.com/superchoice01) შეიძინა ნივთი, ქიმწმენდის პორტატიული აპარატი, რომელიც ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისი არ აღმოჩნდა. განცხადების მიხედვით, მომხმარებლის მიერ დაფიქსირებულ პრეტენზიას მოვაჭრის მხრიდან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

გაცნობებთ, რომ „საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

შესაბამისად გაცნობებთ, რომ სააგენტომ 2026 წლის 16 ივნისის №04/913 ბრძანებით დაწყებულ საქმის შესწავლაში ჩართო მოქალაქე თ დ (პ/ნ) 2026 წლის 8 ივლისის №01/ განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45

ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, წერილის ჩაბარებიდან **5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

დანართი: „4“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/913
16.06.2026

ბრძანება

913-01-4-202606160826

მოქალაქე **განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე (პ/ნ) 2026 წლის 3 ივნისის №01/ განცხადების საფუძველზე, დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრის - აფიზი ჯალილოვის (პ/ნ 20950000264) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 12 ივნისის №03/971 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე